1964/2

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის

უმაღლესი საბჭოს უწყებები

№ 28 (261) 10 ოქტომბერი 1964 წელი

შინაარსი

ნაწილი I

განყოფილება პირველი

477. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, ურთიერთდახმარების და თანამშრომლობის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.

478. საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება.

479. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლაოსში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ს. ა. აფანასიევის გათავისუფლების შესახებ.

480. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ლაოსში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ბ. ე. კირნასოვსკის დანიშვნის შესახებ.

განყოფილება მეორე

481. ბრძანებულება სსრ კავშირის უმღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების სამხედრო მოსამსახურეთა მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ.

482. ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა მხატვარ ლ. ვ. მაიაკოვსკაიას შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ.

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებში.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში.

ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფაში მომხდარი ცვლილებების შესახებ.

93 ბ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი II

განყოფილება პირველი

483. ბრძანებულება საქაართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და „საქართველოს სს რესპუბლიკაში სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ კანონის 8 მუხლში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის შესახებ.

განყოფილება მეორე

484. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ლ. ე. გორგილაძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ.

485. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. დ. ლეონოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

486. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ტ. ს. ჩიქოვანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

487. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. ი. დ. ვიშნიაკოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

488. ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა ამხ. შ. ი. კერესელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაწილი I

განყოფილება პირველი

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

477 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, ურთიერთდახმარების და თანამშრომლობის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება, ხელმოწერილი მოსკოვში 1964 წლის 12 ივნისს, დამტკიცებული სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ, მოწონებული სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა დაა ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების მიერ და წარმოდგენილი სარატიფიკაციოდ, რატიფიცირებულ იქნეს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 25 სექტემბერი.

№ 2877-VI.

478 საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომლებიც

ხელმძღვანელობენ იმ სურვილით, რომ კვლავაც განავითარონ და განამტკიცონ საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ძმური მეგობრობა, რაც შეესაბამება ორივე ქვეყნისა და მთელი სოციალისტური თანამეგობრობის ხალხთა ძირეულ ინტერესებს,

ემყარებიან ძმურ და ყოველმხრივ თანამშრომლობას, რომელიც ორივე სახელმწიფოს ურთიერთობის განმსაზღვრელი პოლიტიკის ქვაკუთხედია და რომელმაც კიდევ უფრო მჭიდრო და გულითადი ხასიათი მიიღო მას შემდეგ, რაც 1955 წლის 20 სექტემბერს დაიდო ხელშეკრულება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ურთიერთობის შესახებ,

გამოთქვამენ მტკიცე მისწრაფებას ხელი შეუწყონ ევროპასა და მთელ მსოფლიოში მშვიდობის განმტკიცების საქმეს და განუხრელად დაიცვან სხვადა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა საზოგადოებრივი წყობილების სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობის პოლიტიკა,

აღსავსენი არიან მისწრაფებით, რომ გააერთიანონ თავიანთი ღონისძიებანი, რათა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ ვარშავის 1955 წლის 14 მაისის ხელშეკრულებაზე დაყრდნობით ეფექტიანად წინააღუდგნენ იმ საფრთხეს, რასაც საერთაშორისო უშიშროებასა და მშვიდობას უქმნიან რევანშისტული და მილიტარისტული ძალები, რომლებიც ესწრაფვიან მეორე მსოფლიო ომის შედეგების რევიზიას, და ყოველი თავდასხმისაგან დაიცვან ორივე სახელმწიფოს ტერიტორიული მთლიანობა და სუვერენიტეტი,

ერთსულოვნად ცნობენ, რომ გერმანიის ისტორიაში პირველი მუშათა და გლეხთა სახელმწიფო — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკა, რომელმაც პოტსდამის შეთანხმების პრინციპები განახორციელა, მშვიდობის გზას ადგას და ევროპის უშიშროების უზრუნველყოფისა და ომის საფრთხის თავიდან აცილების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორია,

ისწრაფვიან გააადვილონ გერმანიის საზავო ხელშეკრულების დადება და ხელი შეუწყონ გერმანიის გაერთიანებას მშვიდობისმოყვარულ და დემოკრატიულ საწყისებზე,

ხელმძღვანელობენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებითა და პრინციპებით,

შეთანხმდნენ შემდეგზე:

მუხლი 1

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები, რომლებიც ემყარებიან სრულ თანასწორუფლებიანობას, სახელმწიფოებრივი სუვერენიტეტის ურთიერთპატივისცემას, საშინაო საქმეებში ჩაურევლობასა და სოციალისტური ინტერნაციონალიზმის მაღალ პრინციპებს, ახორციელებენ ურთიერთსარგებლობისა და ძმური ურთიერთდახმარების პრინციპებს, კვლავაც განავითარებენ და განამტკიცებენ ყველა დარგში მეგობრობისა და მჭიდრო თანამშრომლობის ურთიერთობას.

მუხლი 2

ხალხების, მათ შორის გერმანელი ხალხის, მშვიდობისა და მშვიდობიანი მომავლის ინტერესებისათვის ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები განუხრელად იბრძოლებენ, რათა აღმოიფხვრას მეორე მსოფლიო ომის ნაშთები, დაიდოს გერმანიის საზავო ხელშეკრულება და მის საფუძველზე მოწესრიგდეს დასავლეთ ბერლინის მდგომარეობა.

მხარეები ხელმძღვანელობენ იმით, რომ სანამ გერმანიის საზავო ხელშეკრულება დაიდებოდეს, ამერიკის შეერთებულ შტატებს, დიდ ბრიტანეთსა და საფრანგეთს კვლავაც ეკისრებათ პასუხისმგებლობა, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ტერიტორიაზე იმ მოთხოვნებისა და ვალდებულებების განხორ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ციელებისათვის, რომლებიც ერთად იკისრეს ოთხი სახელმწიფოს მთავრობებმა პოტსდამისა და სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით, რათა აღმოფხვრან გერმანიის მილიტარიზმი და ნაციზმი და აღკვეთონ გერმანიის აგრესია.

მუხლი 3

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები აერთიანებენ თავიანთ ღონისძიებებს, რათა მშვიდობა და უშიშროება უზრუნველყონ ევროპასა და მთელ მსოფლიოში გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მიზნებისა და პრინციპების შესაბამისად. ისინი ყოველ ღონეს იხმარენ, რათა ხელი შეუწყონ ისეთი ძირეული საერთაშორისო პრობლემების გადაჭრას მშვიდობიანი თანაარსებობის პრინციპების საფუძველზე, როგორიც არის საყოველთაო და სრული განიარაღება, გამალებული შეიარაღების შეწყვეტისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ნაწილობრივ ღონისძიებათა გამოუკლებლად, კოლონიალიზმის ლიკვიდაცია, სახელმწიფოთა ტერიტორიული და სასაზღვრო დავის მოწესრიგება მშვიდობიანი საშუალებებით და სხვ.

მუხლი 4

რადგან არის საფრთხე, რომ მილიტარისტულმა და რევანშისტულმა ძალებმა წამოიწყონ აგრესიული ომი, ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები საქვეყნოდ აცხადებენ, რომ ევროპის უშიშროების ერთ-ერთი ძირითადი ფაქტორია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვრების ხელშეუხებლობა. ისინი ადასტურებენ თავიანთ მტკიცე გადაწყვეტილებას ერთად უზრუნველყონ ამ საზღვრების ხელშეუხებლობა მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ დადებული ვარშავის ხელშეკრულების შესაბამისად.

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ყველა საჭირო ღონისძიებას განახორციელებენ აგრეთვე იმისათვის, რომ აღკვეთონ აგრესია მილიტარიზმისა და რევანშიზმის ძალებისა, რომლებიც ცდილობენ მოახდინონ მეორე მსოფლიო ომის შედეგების რევიზია.

მუხლი 5

თუ ხელშეკრულების დამდებ ერთ-ერთ მაღალ მხარეზე ევროპაში შეიარაღებულ თავდასხმას მოახდენს რომელიმე სახელმწიფო ან სახელმწიფოთა ჯგუფი, მაშინ ხელშეკრულების დამდები მეორე მაღალი მხარე დაუყოვნებლივ დაეხმარება მას მეგობრობის, თანამშრომლობისა და ურთიერთდახმარების შესახებ დადებული ვარშავის ხელშეკრულების დებულებათა შესაბამისად.

განხორციელებული ღონისძიებანი ეცნობება უშიშროების საბჭოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების დებულებათა შესაბამისად. ეს ღონისძიებანი შეწყდება, როგორც კი უშიშროების საბჭო განახორციელებს საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების აღდგენისა და დაცვისათვის საჭირო ღონისძიებებს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 6

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები დასავლეთ ბერლინს დამოუკიდებელ პოლიტიკურ ერთეულად მიიჩნევენ.

მუხლი 7

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ადასტურებენ თავიანთ თვალსაზრისს, რომ ორი სუვერენული გერმანული სახელმწიფოს — გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკისა და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის — არსებობის ვითარებაში მშვიდობისმოყვარე, დემოკრატიული, ერთიანი გერმანიის სახელმწიფო შეიძლება შეიქმნას მხოლოდ ორივე სუვერენული გერმანული სახელმწიფოს თანასწორუფლებიანი მოლაპარაკების მოწყობისა და შეთანხმების გზით.

მუხლი 8

ხელშეკრულების დამდები მაღალი მხარეები ურთიერთსარგებლობისა და უანგარო ძმური თანამშრომლობის ბაზაზე, ეკონომიური ურთიერთდახმარების საბჭოს პრინციპების შესაბამისად, ყოველი ღონისძიებით განავითარებენ და განამტკიცებენ ორივე სახელმწიფოს ეკონომიურ, მეცნიერულ-ტექნიკურ ურთიერთობას, შრომის საერთაშორისო სოციალისტური განაწილების პრინციპების შესაბამისად განახორციელებენ სახალხო-სამეურნეო გეგმების კოორდინაციას, წარმოების სპეციალიზაციასა და კოოპერირებას და ორივე სახელმწიფოს ეროვნული ეკონომიკის დაახლოებისა და შეთანხმების გზით უზრუნველყოფენ უმაღლეს მწარმოებლობას.

მხარეები კვლავაც განავითარებენ თავიანთ ურთიერთობას კულტურულ, საზოგადოებრივ და სპორტულ დარგებში, აგრეთვე ტურიზმის დარგში.

მუხლი 9

ეს ხელშეკრულება არ ეხება უფლებებსა და ვალდებულებებს, რომლებიც მხარეებმა იკისრეს მოქმედი ორმხრივი და სხვა საერთაშორისო შეთანხმებებით, მათ შორის პოტსდამის შეთანხმებით.

მუხლი 10

ეს ხელშეკრულება იმოქმედებს 20 წლის მანძილზე მისი ძალაში შესვლის დღიდან. თუ ხელშეკრულების დამდები არც ერთი მაღალი მხარე ხელშეკრულების მოქმედების ვადის გასვლამდე 12 თვით ადრე არ განაცხადებს უარს მასზე, ხელშეკრულება ძალაში დარჩება მომდევნო 10 წლის განმავლობაში.

თუ შეიქმნა ერთიანი, დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე გერმანიის სახელმწიფო ან დაიდო გერმანიის საზავო ხელშეკრულება, ეს ხელშეკრულება შეიძლება გადაისინჯოს 20 წლის ვადის გასვლამდე ხელშეკრულების დამდები თვითეული მაღალი მხარის სურვილისამებრ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუხლი 11

ეს ხელშეკრულება უნდა დამტკიცდეს და ძალაში შევა სარატიფიკაციო სიგელების გაცვლის მომენტიდან, რაც მოხდება სულ მალე ბერლინში.

შედგენილია მოსკოვში 1964 წლის 12 ივნისს ორ ცალად, თვითეული რუსულ და გერმანულ ენებზე, ამასთან ორივე ტექსტს თანაბარი ძალა აქვს.

საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის სახელით	გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელით
საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე **ნ. ხრუშჩოვი.**	გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე **ვ. ულბრიხტი.**

*

* *

რატიფიცირებულია სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მიერ 1964 წლის 25 სექტემბერს; გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის მიერ — 1964 წლის 24 სექტემბერს.

სარატიფიკაციო სიგელების გაცვლა მოხდა ბერლინში 1964 წლის 26 სექტემბერს.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

479 ლაოსში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან ს. ა. აფანასიევის გათავისუფლების შესახებ

გათავისუფლდეს სერგი ალექსის ძე **აფანასიევი** ლაოსში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩის მოვალეობისაგან სხვა სამუშაოზე გადასვლასთან დაკავშირებით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 2 ოქტომბერი.

№ 2897-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

480 ლაოსში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად ბ. ე. კირნასოვსკის დანიშვნის შესახებ

დაინიშნოს ბორის ეფრემის ძე **კირნასოვსკი** ლაოსში სსრ კავშირის საგანგებო და სრულუფლებიან ელჩად.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 2 ოქტომბერი.

№ 2898-VI.

განყოფილება მეორე

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

481 სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის სასაზღვრო ჯარების სამხედრო მოსამსახურეთა მედლით „მამაცობისათვის“ დაჯილდოების შესახებ

რთულ პირობებში მაშველ სამუშაოთა ჩატარების დროს გამოჩენილი თავგანწირულებისა და მამაცობისათვის **დაჯილდოვდნენ:**

„მედლით მამაცობისათვის“

1. ეფრეიტორი ალექსანდრე დიმიტრის ძე **ბიჩკოვი.**
2. კაპიტან-ლეიტენანტი ბორის პეტრეს ძე **მიხეევი.**
3. ინჟინერ-კაპიტან-ლეიტენანტი გიორგი ალექსანდრეს ძე **სინიცა.**
4. მატროსი მიხეილ მიხეილის ძე **შჩერბაკოვი.**

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 29 სექტემბერი.

№ 2892-VI.

ბრძანებულება სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

482 მხატვარ ლ. ვ. მაიაკოვსკაიას შრომის წითელი დროშის ორდენით დაჯილდოების შესახებ

აქტიური შემოქმედებითი და საზოგადოებრივი მოღვაწეობისათვის და დაბადების ოთხმოცი წელთან დაკავშირებით მხატვარი ლუდმილა ვლადიმერის ასული **მაიაკოვსკაია** დაჯილდოვდეს **შრომის წითელი დროშის** ორდენით.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ა. მიქოიანი.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. გიორგაძე.

მოსკოვი, კრემლი. 1964 წლის 30 სექტემბერი.

№ 2894-VI.

ეროვნული ბიბლიოთეკა

განყოფილება მესამე

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებში

1964 წლის 24 სექტემბერს გაიმართა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების გაერთიანებული სხდომა. სხდომას დაესწრნენ კომისიათა თავმჯდომარეები მ. ა. სუსლოვი და ბ. ნ. პონომარიოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე.

მ. ა. სუსლოვის თავმჯდომარეობით კომისიებმა განიხილეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მიერ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წინაშე განსახილველად დაყენებული წინადადება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დადებული მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.

ამ საკითხზე მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი.

სხდომაზე სიტყვებით გამოვიდნენ დეპუტატები ი. გ. კებინი, ზ. ი. ხალილოვი, ა. ი. აჯუბეი, დ. დ. ლელიუშენკო, ს. ო. პრიტიცკი.

თავმჯდომარემ მ. ა. სუსლოვმა შეაჯამა განხილვის შედეგები. მან აღნიშნა, რომ დეპუტატებმა სრული ერთსულოვნება გამოიჩინეს ამ უაღრესად დიდი მნიშვნელობის ხელშეკრულების მაღალი შეფასების და მოწონების დროს.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიებმა განხილვის შემდეგ ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დადებული მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულება და გადაწყვიტეს ურჩიონ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მოახდინოს ამ ხელშეკრულების რატიფიკაცია.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში

25 სექტემბერს სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმმა თავის სხდომაზე, რომელიც გაიმართა კრემლში ა. ი. მიქოიანის თავმჯდომარეობით, მოახდინა საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის დადებული მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების რატიფიკაცია. სხდომას ესწრებოდნენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოსა და ეროვნებათა საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიების თავმჯდომარეები მ. ა. სუსლოვი და ბ. ნ. პონომარიოვი; სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს თავმჯდომარე ი. ვ. სპირიდონოვი, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი მ. პ. გიორგაძე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხდომის მონაწილეებმა წუთიერი დუმილით პატივი სცეს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის გამოჩენილი სახელმწიფო და პარტიული მოღვაწის, საბჭოთა კავშირის ერთგული მეგობრის ოტო გროტეოლის ხსოვნას.

მოხსენებით გამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის პირველი მოადგილე ვ. ვ. კუზნეცოვი. სსრ კავშირსა და გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკას შორის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების დადება, თქვა მან, დიდმნიშვნელოვანი ნიშანსვეტია ჩვენი ქვეყნების, საბჭოთა ხალხისა და გერმანელი ხალხის ურთიერთობაში. თავისი მნიშვნელობით ხელშეკრულება შორს სცილდება ორივე ქვეყნის ეროვნული ინტერესების საზღვრებს. მას დიდი საერთაშორისო მნიშვნელობა ენიჭება. ეს არის მშვიდობისა და უშიშროების განმტკიცების ხელშეკრულება.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს კავშირის საბჭოს საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ მ. ა. სუსლოვმა პრეზიდიუმის წევრებს აცნობა, რომ ორივე პალატის საგარეო საქმეთა კომისიებმა გაერთიანებულ სხდომაზე ერთსულოვნად მოიწონეს საბჭოთა კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელშეკრულება და ურჩევენ სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმს მოახდინოს მისი რატიფიკაცია.

შემდეგ გამოვიდნენ უკრაინის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე დ. ს. კოროტჩენკო, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის წევრი, კუზნეცკის მეტალურგიული კომბინატის უფროსი მვალცავი ა. გ. კარტავიხი, ბელორუსიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ვ. ი. კოზლოვი, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე გ. ს. ძოწენიძე, ყირგიზეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ტ. ყულატოვი, ლატვიის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ი. ე. კალნბერზინი. მათ ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი წინადადებას ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ.

სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარემ ა. ი. მიქოიანმა შეაჯამა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის ხელშეკრულების რატიფიკაციის საკითხის განხილვის შედეგები და განაცხადა, რომ დეპუტატებმა სხდომაზე გამოთქვეს არამარტო პირადი აზრი, ისინი გამოხატავდნენ საბჭოთა საზოგადოებრიობის, იმ ამომრჩევლების აზრს, რომელთა წარმომადგენლებიც არიან.

ხელშეკრულებას, რომელსაც ახლა განვიხილავთ, შეიძლება ვუწოდოთ მეგობრობის ქარტია, თავისუფალი სოციალისტური გერმანიისა და საბჭოთა კავშირის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მშრომელებისა და საბჭოთა კავშირის ხალხების თანამშრომლობის 20 წლის პროგრამა, თქვა ა. ი. მიქოიანმა. მან აღნიშნა, რომ ხელშეკრულება უზრუნველყოფს გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის დაცვას მისი მთლიანობისა და სახელმწიფო სუვერენიტეტის, მისი საზღვრების ხელყოფისაგან.

ა. ი. მიქოიანმა წაიკითხა პროექტი სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებისა სსრ კავშირისა და გერმანიის დემოკრატიული რეს-

ეროვნული ბიბლიოთეკა

პუბლიკის მეგობრობის, ურთიერთდახმარებისა და თანამშრომლობის ხელშეკრულების რატიფიკაციის შესახებ. ბრძანებულება ერთხმად დაამტკიცეს. შემდეგ ამხანაგმა ა. ი. მიქოიანმა ხელი მოაწერა ამ ბრძანებულებას და სარატიფიკაციო სიგელს.

ADMINISTRACIULI-TERITORIULI DAYOFAZE MOMZADARI CVLILEBEBIS SESAXEB

RSFSR

SAMAROVSKIS SASOFLO RAIONIS GADARCMEVA

რუსეთის სფს რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 14 სექტემბრის ბრძანებულებით ტიუმენის ოლქის **ხანტი-მანსიისკის** ნაციონალური ოკრუგის სამაროვსკის სასოფლო რაიონი გადარქმეულია **ხანტი-მანსიისკის** სასოფლო რაიონად.

SOMXETIS SSR

KALININOS SASOFLO RAIONIS SECMNA

სომხეთის სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის 1964 წლის 8 სექტემბრის ბრძანებულებით შექმნილია **კალინინოს** სასოფლო რაიონი, რომლის ცენტრია დაბა **კალინინო.**

NAWILI II

GANYOFILEBA PIRVELI

BRZANEBULEBA SAQARTVELOS SSR UMAGLESI SABCHOS PREZIDIUMISA

483 „SAQARTVELOS SS RESPUBLIKAAŠI CXOVREBASTAN SKOLIS KAVŠIRIS GANMATKICEBISA DA SAXALXO GANATLEBIS SISTEMIS ŠEMDGOMI GANVITAREBIS ŠESAXEB“ KANONIS 8 MUXLŠI NAWILOBRIVI CVLILEBEBIS ŠETANIS ŠESAXEB

„ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სსრ კავშირის სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ კანონის 4 მუხლში ნაწილობრივი ცვლილებების შეტანის თაობაზე სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულების შესაბამისად საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმი **ადგენს:**

1. „საქართველოს სს რესპუბლიკაში ცხოვრებასთან სკოლის კავშირის განმტკიცებისა და სახალხო განათლების სისტემის შემდგომი განვითარების შესახებ“ საქართველოს სსრ 1959 წლის 18 აპრილის კანონის 8 მუხლის (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, 1959 წელი, № 4) ნაწილობრივ

ეროვნული ბიბლიოთეკა

შესაცვლელად საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო საწარმოო სწავლების ბრიგადით პოლიტექნიკურ სკოლებში, რომლებიც არსებობენ რვაწლიანი სკოლის ბაზაზე, დაწესდეს სწავლების ორწლიანი ვადა ნაცვლად სამწლიანისა.

2. ეს ბრძანებულება დასამტკიცებლად წარედგინოს საქართველოს სსრ უმაღლეს საბჭოს.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1964 წლის 5 ოქტომბერი.

განკოფილება მეორე

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

484 ამხ. ლ. ე. გორგილაძისათვის საქართველოს სსრ მეცნიერების დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდების მინიჭების შესახებ

ხანგრძლივი და ნაყოფიერი სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობისათვის დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროორექტორს, ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორს ლეონიდე ერემიას ძე **გორგილაძეს** მიენიჭოს **საქართველოს სსრ მეცნიერებათა დამსახურებული მოღვაწის საპატიო წოდება.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1964 წლის 1 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

485 ამხ. ი. დ. ლეონოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სსრ ლითონდამმუშავებელ საწარმოებში ღარვის პროგრესული მეთოდების დანერგვის საქმეში გაწეული დახმარებისა და ლითონების მოწინავე მეთოდებით ღარვის რესპუბლიკური სკოლის ხელმძღვანელობისათვის ჩვენი ქვეყნის ცნობილი ნოვატორი, ლენინგრადის კიროვის ქარხნის მღარავი ამხ. ივანე დავითის ძე **ლეონოვი** დაჯილდოვდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე **გ. ძოწენიძე.**
საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი **ზ. კვაჭაძე.**

თბილისი. 1964 წლის 1 ოქტომბერი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

486 ამხ. ტ. ს. ჩიქოვანის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო უშიშროების ორგანოებში ხანგრძლივი და უმწიკვლო მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით აჭარის ასსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ამხ. ტიტე სამსონის ძე **ჩიქოვანი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 6 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

487 ამხ. ი. დ. ვიშნიაკოვის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი მუშაობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით რუსთავის ცემენტის ქარხნის დირექტორი ამხ. ივანე დიმიტრის ძე **ვიშნიაკოვი** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 6 ოქტომბერი.

ბრძანებულება საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმისა

488 ამხ. შ. ი. კერესელიძის საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით დაჯილდოების შესახებ

სოფლის მეურნეობის მექანიზაციის დარგში ნაყოფიერი მოღვაწეობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით საქართველოს სოფლის მეურნეობის მექანიზაციისა და ელექტრიფიკაციის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის დირექტორის მოადგილე, პროფესორი შალვა იასონის ძე **კერესელიძე** დაჯილდოდეს **საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის საპატიო სიგელით.**

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე ბ. ძოწენიძე.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მდივანი ზ. კვაჭაძე.

თბილისი. 1964 წლის 6 ოქტომბერი.